



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თავაძე გიორგი ფერდინანდის ძე

თავაძე გიორგი ფერდინანდის ძე (დ. 6. XII. 1945, თბილისი), მეტალურგი. საქართვე. მეცნ. ეროვნული აკად. წ.-კორ. (2009), ტექ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (2002). 1967 დაამთავრა სპი-ის მეტალურგიის ფაკ-ტი, ლითონმცოდნეობისა და ლითონების თერმული დამუშავების სპეციალობით. 1967 მუშაობა დაიწყო საქართვე. მეცნ. აკად. მეტალურგიის ინ-ტში (ახლანდ. ფ. თავაძის სახ. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტი). 1992-2004 მუშაობდა საქართვე. თავდაცვის სამინისტროს ტექ. სამმართველოს უფროსად; 1998-2002 - საქართვე. შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის სტრატეგიული დაგეგმარებისა და სამეცნ.-ტექ. კვლევების მთ. სამმართველოს უფროსად. 2002-04 იყო საქართვე. თავდაცვის სამინისტროს კვლევებისა და ტექნოლოგიების ცენტრის უფროსი, 1997-2005 კი - NATO-ს კვლევებისა და ტექნოლოგიების ორგანიზაციისა და სახმელეთო შეიარაღების ჯგუფის ეროვნ. კოორდინატორი. 2005 აირჩიეს საქართვე. საინჟ. აკად. ნამდვილ წევრად. 2006 ამერიკის ბიოგრაფიული საზ-ბის მმართველ რედაქტორთა საბჭომ მიანიჭა მასალათმცოდნეობის ექსპერტის წოდება. 2006-იდან მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტის დირექტორია.

თ-ის სამეცნ. კვლევის მიმართულებებია: ამორფული და წვრილკრისტალური მასალების მიღება; ლითონური ნალღობიდან ზესწრაფი წრთობით თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) ტექნოლოგიით A-15 ტიპის ლითონური და მაღალტემპერატურული კვრამ. ზეგამტარი მასალების მიღება; თმს ტექნოლოგიით ბორისა და მისი ნაერთების მიღება და კვლევა. არის საქართვე. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1988). მინიჭებული აქვს პოლკოვნიკის წოდება და (1996) დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. 2013 მიენიჭა გიორგი ნიკოლაძის პრემია.

обд.: Получение специальных материалов методами самораспространяющегося высокотемпературного синтеза, Тб., 2011 (обдддд. А.С. Штепнберг).
